K23106
ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემა მ. [illegible]

#278
899.961
+55
m-30

პოემების კრებული

„აჩრდილი“ ილ. ჭავჭავაძისა.

„მომაკვდავის ჩვენება“ აკაკი წერეთლისა.

„იმედი“ ვახტან ორბელიანისა.

ტფილისი

სტამბა «ცნობის ფურცლისა», სათავად-აზნაურო ქარ.

1898

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1269
ეროვნული ბიბლიოთეკა
821.353.1-13
Ჰ 507
Ჰ 23106/1
1909

გამოცემა მ. ლალიძისა № 6

პოემების კრებული

„აჩრდილი“ ილ. ჭავჭავაძისა.

„მომაკვდავის ჩვენება“ აკაკი წერეთლისა.

„იმედი“ ვახტაგ ორბელიანისა.

№ _____
ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა
BATUMI PUBLIC LIBRARY

ტფილისი

სტამბა «ცნობის ფურცლისა», სათავად-აზნაურო ქარვასლა.

1898

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено Цензурою Тифлисъ, 5-го Ноября 1898 года.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა ჩ რ დ ი ლ ი

(ვუძღვნი ივ. პოლტარაცკის და ილია წინამძღვრიშვილს)

«რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა»,
რუსთაველი

I

ალმოპრწყინდა მზე დიდებულათა
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი.
ალმოჩნდა მთების ზემოდ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ,
იგივ დიადი, იგივ მძინვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ.
ქვესკნელთ ძალთაგან იგი მოა მედგრად
ცის გასარღვევად ალმოზიდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად
თითქო განგებით შეყენებულა.
მისი ყინულით ნაკვეთი თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოირთო მზისა ოქროს სხივებით,
ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ზვავი
დასცქერის რისხვით და მუქარებით,—
თითქო ელისო განკითხვის დღესა,
რომ იგრიალოს, წამოიქუხოს,
ხმელეთს დაეცეს, მერმედ ქვესკნელსა
თვითც დაიღუპოს, ისიც დაღუპოს.

II

მაგრამ ისეთი მშვიდი, ნარნარი
იყო იმ დღისა ლამაზი დილა,
რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი
იმ დილის მადლსა დაემორჩილა.
ქვეყანაც იყო დადუმებული,
თითქო დუმილით ყურს უგდებს ცასა,—
და ცაც ულრუბლო და მხიარული
გადმოაფენდა მადლს ქვეყანასა.
ხოლო კი ჩემი უნდო გონება
არ მოიხიბლა იმ დილითაცა...
„ნუ გჯერსო, მითხრა, ეს მყუდროება,
„სტყუისო ზეკაც და ქვეყანაცა!
„ამ გვარი დილა ქვეყანას ბედ-კრულს
„ბევრჯერ სხვა დროსაც გასთენებია,
„მაგრამ არც ერთხელ მის გულსა ვნებულს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მადლი ცისა არ მიჰკარებია.
„სულ ტყუილია, რასაც ეხლა ჰგრძნობ...
„ქვეყნის ღრტვინვაა დაუძინარი,—
„ღრმად ჩააკვირდი მის დუმილს და სცნობ,—
„თვით მაგ დუმილში რა წყევლა არი!...“

III

ბოლოს კი დილის სიტკბოებამ
მეც განმიფანტა ეჭვთა ღრუბელი
და ყოვლად მხსნელმა სასოებამ
მომცა ნუგეში მაცხოვნებელი.
ამა ნუგეშით აღძრული სული
აღმევსო ნელის სიხარულითა,
ეჭვთაგან წინად გვემული გული
განცხოვლდა წმიდის სიყვარულითა;
გარდმომევლინა ყოვლად შემძლები
ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა,
აღმიფრთოვანა მან ოცნებები
და განმიწმინდა ხედვა და სმენა.
მეწვივნენ იგი უცხო ხილვანი,
სავსენი ლხენით, ნეტარებითა,—
რომელთაც წარაქვთ კაცთ გულის თქმანი
საიდუმლობის მაცდურებითა.

IV

და მომევლინა მე კაცი დიდი,
მყინვარზედ მდგომი მოხუცებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითა ქვეყანა, ისც იყო მშვიდი,
უძრავი, უხმო, დაფიქრებული.
მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი
ყურადღებითა შორს გაჰყურებდა;
მის გარეშემო შვენოდნენ მთანი
და მათ ფეხთა-ქვეშ თერგიც გაჰყეფდა.
თერგი მრისხანე, თერგი მბდღვინვარე
ქაფისა ზვირთთა ზიაქანებდა,
ვით შმაგი ლომი დაჭრილი, ცხარე
ჰრბოდა, ჰბღაოდა, მიღრიალებდა,
სჭექდა და ჰქუხდა... კლდენი და მთანი
თვის მაშფოთარ შვილს გადმოჰყურებდნენ
და მის ბღავილთან მათი ყრუ ხმანი
ხეობაშია მგზავრს აშინებდნენ.
იქით შორს სჩანდნენ მინდორნი, ტყენი
და იმათ შორის—არაგვიც ჩვენი...

V

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!...
ქართლის ცხოვრების მოწამე შენ ხარ...
შენს კიდეებზედ ჩემი მამული
იყო ერთს დროსა გამშვენებული!
ჩემის მამულის დიდება ძველი
შენს წმინდა თვალ წინ აყვავებულა;
მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, შენს კიდეზედ, დაბადებულნ.
შენ ზვირთებ შორის ჩემის ქვეყნისა
გძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდეებზედ გადასხმულია.
იქ, სადაც შენსა ძლიერსა წყალსა
შეურევ მღვრიეს და მდოვრსა მტკვარსა,
იქ ერთხელ ქართველთ სიცოცხლე ჰდუღდა,
იქ მამულისთვის ქალთველთ ხმა ჰქუხდა.
შენს ზვირთებს გაჰყვნენ საუკუნენი
და საუკუნეთ—იგი ქართველნი!...
გულ-ხელ-დაკრეფილ შენსა წმინდა წყალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!...
რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წარსულს,—
შენ წინ დაღუპულ ჩემს ძველსა მამულს,—
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
აძლევდა ხოლმე გულ-საკვდავ პასუხს.

VI

მაგრამ საკუთრად არცა არაგვმა,
არც თერგმა, არც ტყემ და არცა მთამა
არ მიიზიდა მოხუცის თვალი,
მთიდამ ამაყად გადმომზირალი,—
სრულ საქართველო მოჩანდა შორსა...
იგი მოხუცი მას დააცქერდა;
ქვეყნის მარგალიტს მაგა ობოლსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულითა იგი დამზერდა.
საიდამა ხარ, რამ მოგავლინა,
ჰოი საკვირველო კაცო, მითხარი?
რად დაგიგღია შენ შენი ბინა
და ამა მთაზედ რისთვის ხარ მდგარი?
და, რა ვსთქვი ესა, მსწრაფლვე მომესმა
იმა მოხუცის დიდებული ხმა:

VII

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთა-
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული. |ნა!...
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.
მეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედ-კრულო, შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვ-
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულებია. |რითა,
წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება,
ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორჭმულ-ძლიერი,
შენცა გფენია ქვეყნის მადლი —თავისუფლება.
ეხლა აღგვილა ყველა ესე, ვითარცა მტვერი...
და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,
განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა
და დაუგდიხარ ვით ტაძარი გაუქმებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებაში
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული
ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრებისდენას,
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული
უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს და-
ღვრის,
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა,
და იგი ცრემლი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის
ჰლაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.“

VIII

„აქ არ ვის – დიდსა, თუ პატარასა—
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული.
დაჰვიწყებია, რომ დიდი არი
ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,
რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი
ქვეყანასავე შეეწირება.
წმინდაა იგი, ვისაც ელირსა
მამულისათვის თავის დადება!...
ნეტა იმ ვაჟ-კაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა ერთხელ ჭაბუკთა ყოფაში
ხლმის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს
იმ სიმღერას რა ისმენს მხკოვანი,
სიბერის ჟამსა კვლავ მოიფონებს,
გმირის სიკვდილი სახელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს.
აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა
ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა
და, თუ ინატრებს რასმეს მისთვისა,—
ინატრებს გმირის მის დიდებასა.
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირს მოიგონებს და გამხნევდება,—
ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება.

IX

„მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვსტირი?
იგი აღარ გყავთ... მის მოედანი
ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა.
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა.
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დაგინგრევიათ დიდი მამული,—
რაღა დაჰბადავს თქვენში დიდს გრძნობას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითი აღტკინდეს ქველისთვის გული?
თქვენ გარს მადლითა სავსეს ბუნებას
შეუკრებნია ყოველიფერი,
რომ მისცეს თქვენში ზრდა დიდს ცხოვრებას,
ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი.
ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,
დიდის სამოთხის კუთხე პატარა
ქედ-მოდრეკილა ნაღვლით საწყალი,
რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა,
რომ დაგიგდიათ უმწედ, უნუგეშ,
თქვენის სიავით დაწყლულებული
თქვენგან გმობილი უცხოს კალთის ქვეშ,
ვითა ობოლი, შეფარებული.

X

„ხოლო აქაც კი ვრდომილთ შორისა
ღვთის ნაპერწკალი ზოგჯერა ჰკრთების,
ქვეყნის წარხდომას გული ზოგისა
შეებრძვის და არ ემორჩილების,
მაგრამა ლალვა, შური და მტრობა
იმ ზოგთა შორისც ღრმად ჩანერგულა,
ამა ჭირთაგან მათი მხნეობა
აღძვრისა უმალ გაცუდებულა.
აგერ ორს-სამს კაცს რაღაც უგრძვნიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთის საქმისთვის გაულვიძნიან,
დი ერთმანეთს კი არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის ოითქო იღვწიან;
თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.

XI

„აგერ უფალი და მისი მონა!*)
თრთოლით სასწორზედ ხარჯს უწონს ძნელსა
და, რა დაჰსწორდა სასწორზედ წონა,
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთსა-ორად ჰხდის...
მონამ მწუხარედ გულს გაიღიმა,
უმწეობითა თავის ხარჯსა ჰზრდის
და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიმა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება:
ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული,
ვინც მონებას თვით ემორჩილება.
მონა ბედ-შავი, მონა საწყალი
სდგას, ეევედრება მის თვალი შვებას,

*) ეს იმ დროს ეკუთვნის, როცა ჩვენში ჯერ ბატონ-ყმობა გადავარდნილი არ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გულში ჰფიქრობს: ვიშ, ჩემი ბრალი!
რით შევძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას?
ვიშ, ჩემი ოფლი, მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი, იმა ოფლით გაზრდილი;
დღე და ღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
დარში, ავდარში ცის-ქვეშე დგომა,
ვაი, ვაგლახი, ჭირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარგებს.
ვაიმე, ბედ-კრულს რაღა დამრჩება,
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?...
ვინა ჰშრომობდა და ვინა ჰძღება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!...

XII

„შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შვილსა აჰგლეჯენ,
ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან...
უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას.
თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება,—
მონავ ჩაგრულო, ვითამ შენს გულსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასიხარულოდ ეგე ექმნება?!
ქალს წავართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად,
უბრყვილო გულში ღვარძლს ჩაასხმიან
გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად.
უმანკო პირზე შენს ტურფას ქალსა
გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა...
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,
ნამუს წართმეულს და შეგინებულს!...
პირს უკუ იქცევ და შეძრწუნდები,
ცრემლს მოინდომებ და არ გექმნება,
წყევლით, ვაებით მას განშორდები
და ქალი შენი შენ შეგზარდება,—
და მაშინ იტყვი: ნეტავი გველად,
გველის წიწილად მე მომცემოდი,
რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის სათრევლად
შენ, შვილო ჩემო, არ გამხდომოდი.

XIII

„შრომისა შვილო, მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად,
თუმცა ტვირთ-მძიმეთ შემწყნარებელი
შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად.
თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება
დღეს მარტო სიტყვით უქმით რწმენია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ცხადად ჰხმობს მის ფრონდა მცნებას,
რომ მყოობადი მარტო შენია.
შრომა, აწ ქვეყნად ტყვეთა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად გამზადებულა.
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევა მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

XIV

„შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთ-მოყვარების სახიერებით.
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანასწორადა ნიჭთა მფენელმან,
მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმ სიტყვად არ იქმნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთ-მოყვარება და სათნოება.
ალლო აიღო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე და დღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.
მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.
მაშინ, ეგე ხმა შენის სიმღერის,
დაბლად ღუღუნი დაღონებული,
მღერა, ვით კვნესა, საწყალის მეხრის,
შორი ხმა მწყემსის დაობლებული—
მხიარულ ხმებად გარდაგეცვლების
და შენს გუთანზედ გულით ლმობილი
იტყვი სიმღერას თავისუფლების.
ეგ სიმღერაა, ვით ლოცვა ტკბილი!...
მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი
შენის ლხენითა განიხარებენ,

ბათუმის ა. სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
A. SAKHELMTSIPO BATUMI PUBLIC LIBRARY
№ 19109
I - 23106

შენგან შემკულნი იგი ყოველნი
შენს ტკბილს სიმღერას ბანს გამოსცემენ.

XV

„აგერ დიდ-კაცი დარბაისელი
კმაყოფილების განცხრომაშია
მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი
სასოწარკვეთილ მონებაშია
მოძმეთა ხსნისთვის თავის დადება
წმიდა მხვედრია მხოლოდ გმირთა
და მას ვით შესძლებს თავ-მოყვარება,
რომელიც იმა დიდ-კაცთა სჭირთა?
ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შველის მის ბედ-კრულება?
რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
როს მეოხებით მისით თვით ჭრჩება?
აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით
მოძმეთ ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა,
და ძმა მის მოკვდეს თუნდა შიმშილით,
უნაღვლოდ განვლის ცხოვრების ხიდსა.
აგერა მღვდელნიც—ერთა მამანი—
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რა რიგ გულ-ხელი დაუკრებიათ!
სად არის სიტყვა დიდის სწავლისა,
სიყვარულის და სამართალისა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?
სად არის იგი მღალადებელი
ქვეყნის ხსნისათვის ჭეშმარიტება?
სად არის იგი ბიწის მდევნელი
ჯვარ-ცმულის ღმერთის მაღალი მცნება?

XVI

„აგერ ტფილისიც!.. ყრმასაც და ბერსაც,
ქალსა მახინჯსაც და მშვენიერსაც,
დიდსა, პატარას, თავადსა, გლეხსა
მე უხილავი ყურსა ვუგდებდი,
მაგრამ კი, ვფიცავ ქართვლის სახელსა,
მათს აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი.
ერთ-გზით შეჰხედავ და იქ ცხოვრება
მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება:
ჰლხინობენ კიდეც, კიდეც ჰხარობენ,
ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ და ჰმოქმედობენ,
ჰხედავ ფაცა-ფუცს და ყველგან ჟღივილს,
უბედურ ცრემლთან ბედნიერს ღიმილს,—
მაგრამ მათ ცრემლსა, ღიმილს, თუ გრძნობას
ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი
და ყველა იგი თვალთ-მაქცი არი.
ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
უფერულია და ცალიერი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გულ-წარმტაცველი!
იქ დღე ჰრბის დღესა, ვით ჰრბოდა გუშინ;
ერთ-ნაირად და უგემურადა,
რისთვისც მამანი იღვწოდნენ უწინ,
დღეს შვილთ არ ულირთ არც ერთ ფლურადა.
გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზე—პატიოსნებას
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას.

XVII

7-23106

„აგერა მცხეთაც—სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართვლის მორჭმულთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების;
სადაც ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა
ქართვლის გულიდამ აღმოცენილი,
და წყარო იგი წყაროდ შვებისა
სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი;
სად ის ხე ნაძვის მის სუნნელისა*)
ჰყვავოდა ქართვლის წყლულთა კურნებად,

*) ამ ნაძვის ხეზედ თქმულობა იხილეთ ვახუშტის გეოგრაფიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მის ქვეშ წყარო უკვდავებისა
სცემდა იაზმას ერის ცხოვნებად;
სად იმ ხის წმინდის ფოთოლი, ხილი
საკვდავადკ დაჭრილს ეკურნებოდა;
სად იმა წყაროს წყლით დაბანილი
ქართვლის ტკივილი დაყუჩდებოდა.
აწ ალარა სჩქეფს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა,—
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს იმ ცხოვრების წმიდა ალაგნი
პირუტყვთა ქელვით შეგინებულა.

XVIII

„ქართვლის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადერამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია!.. ‖ბულო, ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და ‖წამებულო,
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია? სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი გამოევლოს და სრულიად მტვრად არ აღგვილიყოს? შენ ხარ, მარტო შენ!.. მაგალითი სხვა არსად არი, რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შესძლებიყოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენთა შვილთ გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედ,
ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა
არავის-წინა სამუდამოდ არ მოიხარეს.
ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღვწოდა,—
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა,—
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა.

XIX

„თვალ-წინა მიდგა ის კირთების ბედ-შავნი დღენი,
როს შენ დაგიპყრო მაკედონის გმირის ლაშკარმა,
და შეგირყია დიდ-ცხოვრების სამკვიდრო ბჭენი
შენმა მოძალემ და მოლალემ უცხო მთავარმა.
სძულდა ქვეყანა, რომელიცა მას ეპყრა ხელთა,
სძულდა თვით ერიც, მის სიკეთე, ნიჭიერება...
ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა,
ვისც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება.
ერის მჩაგვრელი, ქვეყნის მთხრელი იგი მმართველი
მთელს საქართველოს თვის ფერხთა ქვეშ მჩვარებრ
ჰქელვიდა,
ერის იმედის, სასოების, ნიჭის მსურველი
თვით ერის ენას—მაგ ერის განძს იგი სდევნიდა.
სძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება,
რაშიაც ერი თვისთა ნაჭთა იყო მსახველი,
რაშიაც იყო მის დიდება, პატიოსნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისთვისაც დაშვრა მამა-პაპის გული და ხელი.
მას ჰმორჩილებდა ერი შენი მძულვარებითა,
დევნულების და კირთების ქვეშ ქედსა იხრიდა,
და მონებურის თვალთ მიმქცევის კრძალულებითა
ზღვევისა წადილს გულ-დაკეტით დღე-და-ღამ
ჰზრდიდა.

XX

„მოვიდა ის დღეც შურის-გებისა,
მტარვალს აღუდგა ქართვლის ქველობა...
მართალი არის ხმალი ზღვევისა,
როს ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა.
მახსოვს ფარნავაზ ჰაეროვანი,
გულ-მტკივნეული შვილი ქვეყნისა...
მან იდვა თავსა სახელოვნი
ის დიდი საქმე შურის-გებისა.
ერის და ქვეყნის შეურაცხყოფას
ველარ გაუძლო ჭაბუკმა გმირმა,
ველარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას
იმა მამულის ამაყმა შვილმა.
გადგა და დასცა თავ-ზარი მტერსა,
დაამხო პირ-ქვე ყმობა, მონება
და უცხოთ ხელთ-ქვეშ დაჩაგრულს ერსა
ვით მზე მოჰფინა თავისუფლება,—
და შენ, ჰე ქართლო, მტრისგან რღვეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ შეგვაერთა ერთის ცხოვრებითა,
ქართველის სახელი დამცირებული
კვლავ შეჰმოსა მან პატიოსნებით.

XXI

„მას აქეთია, ქართლო, შენს შვილსა
არ ჩაუგია ქარქაშში ხმალი...
შენზედ მოიქცა ძველის ქვეყნისა
გაუმაძღარი და ხარბი თვალი.
მას აქეთია ოთხ-კუთხივ მტერნი
შენს თავსა შენვე გეცილებოდნენ,
მაგრამ ვაჟ-კაცნი შვილები შენნი
გულ-და-გულ მტერსა წინ უდგებოდნენ.
იყო დრო, როს შენს ძახილზედ, ხმაზედ
მამულის დროშა გაიშლებოდა
და ჭაბუკთ რაზმი შენს მოწვევაზედ
მტრის დასახვედრად მოგროვდებოდა.
იყო დრო, როცა შენის გულისთვის
თვითონ სიკვდილსაც ლხინად ჰხადოდენ
და თავ-დადებას მამულისათვის
ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ.
ეხლა რაღაა!... გაჰქრნენ ის დღენი,
გაჰქრა იგიცა ძალ-გულოვნება,
და საკვირველნი მამათ საქმენი
ეხლანდელ შენს შვილს არც აგონდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXIV

„წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება,
მტვრად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება!. .
აწ იგი თითქო თვის დენაში შეყენებულა,
ხოლო ოდესღაც მოდენილა თვის ფართო გზაზედ,
ბევრჯერ უსაგნოდ, ბევრჯერ აზრით აღელვებულა,
ქართველის ტკივილი ყოველთვის კი სჩნევია მას ზედ.
დენილა იგი ტანჯვათ შორის და სიამეთა,
ხან დაცემულა და მიმქრალა, ხან აღდგომილა,
ხან შური, მტრობა, ერთურთ ლალვა სთხრიდა კი-
დეთა,
რომელთ შორისაც ის ცხოვრება მძლავრი ჰშობილა.
მაშინ გათხრილნი ის კიდენი მთლად დარღვეულან,
ძლიერნი ზვირთნი იმ ცხოვრების აღქაფებულნი
სხვა-და-სხვა ტოტად გადმოსულან, გადაგდებულან
დაუნთქავთ შრომა წინაპართა სისხლითა რწყულნი.
როდის-ღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავაცა აღმდგარსა,
დროსთან დანთქმულსა სხვა-და-სხვათა კავშირთა
ბრძოლას,
ერთის ცხოვრების,ერთის სულის ძლიერსა ქროლას?
როს ესე ტოტნი ერთ-ცხოვრების ერთ-არსებისა,
ეხლა გაყრილნი, ერთ-მდინარედ შეერთდებიან?
როს იგი ტომნი ცად მიხწეულ მძლავრ კავკასისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთისა აზრით, ერთის ფიქრით გაზდიდდებიან?
თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდხნის ბორკილსა,
და ქართველობა სიქადულად როდის ექმნება
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართვლის ერთგულსა
შვილსა?“

XXV

ამ დროს ქუხილმა დაიგრიალა,
გრგვინვა დაიწყო მისმა ხმამ მთებში,
ცაზედ ელვამა გაიპკრიალა
და გაანათა მდინარე ხევში.
ცას გადაედვნენ შავნი ღრუბელნი,
ნისლში შთაცვივდნენ მთანი და ველნი;
ქარმა დაჰლმუვა ხევ-ხუვსა, მთებსა,
ბუქი სვეტსავით აატრიალა;
რისხვითა ჰგლეჯდა კლდესა და ღრესა,
ზვავმაც მაღლიდამ დაიგრიალა,—
და მყის ბუნების მშვიდი დუმილი
ბნელ ჯოჯოხეთად გადიქცევოდა,
წყალი და ცეცხლი, მეხი, ქუხილი
ერთმანეთშია აირევოდა.
მაშინ შევხედე მყინვარსა მძლავრსა..
დიდხანს ვეძებდი იქ მოხუცს კაცსა,
მაგრამ შავისა ღრუბლისა სისქეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ გაატანა თვალმა უძლურმა...
„ნუ თუ გათავდა ამით ხილვა ეს!“
შემომტირა მე მწუხარე გულმა.
მცირეს ხანს შემდეგ გადიწმინდა ცა,
გამოიღიმა ნათლად მთამაცა,
და ზზისა სხივით გაბრწყინვებული
კვლავ დავინახე მოხუცებული.
ცისკენ აღეპყრნა თრთოლითა ხელნი
და მოედრიკნა მუხლნი ძლიერნი...
თურმე მოხუცი ის ჭლოცულობდა
და ღმერთსა ესრედ ევედრებოდა:

XXVI

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;
სამღრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.
ძლიერო ღმერთო! შენთვისჰბრძოდნენ ქართველისა
დასაბამითვე არ იციან—რა არს მშვიდობა, ძენი,
იკმარე სამღრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვა-
�ული

და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!...
ჰოი სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოკ ხალხსა!...“

XXVII

მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა
შვიდ-ფეროვანი სარტყელი ცისა
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა.
ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
ერთს ფიქრს მიეცა გულის-თქმა ყველა,
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა.

თ. ილ. ჯაჯანაძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომაკვდავის ჩვენება

სიკვდილ-სიცოცხლის შუა მდებარეს,
როდესაც სული ხორცს შეერებოდა,
ცოდვილი ქვეყნის გამოთხოვება
მე მაინც კიდევ მენანებოდა!

—

რასაც სიერმიდან თვალი და გული
შეთვისებია და შეჩვევია,
გონება კავშირს ვედარ გაუწყვეტს,
სიცოცხლეც მისი მონა და ტყვეა!!

—

ვიტანჯებოდი, ტრემლების ნაცვლად,
ჭირის ოთელში-და ვიწურებოდი...
მიწა მტოებდა... ცა მიწოდებდა
და მე კი ვერც ერთს ვედარ ვსწვდებოდი.

—

არც აქეთ ვიყავ და აღარც იქით
მე, ორთა შუა გამოხიდული;
უჩინარ ბეწვით ოდნათ დაბმული
ხორცი უსულოდ, უხორცოდ სული!

—

უცბათ გაიხსნა ცა, მოელვარე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მადლით ნათელი გადმოეფინა
და თანვე მოჭვევა ხმა ზეციური;
„აჭა, ოსსანა მადალთა შინა!“

—

ნათლის სვეტებზე ნათლისვე კიბით
გადმოქანან ძირს ანგელოსი;
სხივით ნაქარგი თვით ელვარებს
იეო იმისი წმიდა სამოსი.

—

მომიახლოვდა მანუგეშებლად,
ცისა და ქვეყნის შუა-მავალი.
დამიდგა მარჯვნით... მისმა შვენებამ
მოშხიბლა სრულად და მომჭრა თვალი.

—

ამ დროსვე ერთად შეიძრა მიწაც,
ქვესკნელმა გვრგვინვით გააპო ბნელი
და ამოფრინდა ბოროტი სახე
სრულის დიდებით, თვით ბელზებელი.

—

იმის მედიდურ ძლიერ სახეზე
უფლება შავი ხაზით ეწერა;
დადგა ბირდაბირ ანგელოსისა
და შეუპოვრად დაუწეო მზერა.

—

„შენ აქ რა გინდა?—სთქვა ანგელოსმა—“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარადისოდ შეჩვენებულო!...
ურჩო მეუფის!... და ქვეყნის მტერო!
მოუსვენარო!... ბოროტო სულო?!!

—

განა არ იცი: ვისაც ამ ქვეყნად
ვერ შეურეია სარწმუნოება,
სიკვდილის შემდეგ რომ მიეკარო,
არ გაქვს უფლება! არა გაქვს ნება!!.

—

„ვინ მოგახსენა?! . ჯერ ჩემ უფლებას
ვერ გააქარწყლებ შენ ასე ჩქარა!..
ჩვენ-ჩვენ საზღვარზე ვდგევართ ისევე!"
—სთქვა ბელზებელმა! გადიხარხარა!

—

„ჯერ სანამ სული ხორცს არ გაჭურია,
არ დამკარგვია უფლება და დრო!..
უკანასკნელად ერთს კიდევ ვსინჯავ,
რომ მაგის სული მოვინადირო.

—

და ხელის შეშლა თუ შეგიძლია,
იხმარე შენი გრძნობა-გონება,
რომ მოანატრო ის ზეციური
საოცნებო რამ ეოფა-ქონება.

—

მეც გამოვიჩენ ჩემ ძალიერებას
სათვალ-და-თვალოს და ხელ-შესახებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მაშინ ვნახოთ: ამ ორში, აბა,
რომელს აირჩევს? და რას აიღებს?

—

შენ შეგიძლია წაართვა სული!
მე შემიძლია, რომ დავუბრუნო!
შენ სხვის მონათ ხარ კარზე მოსული
და მე კი მმონებს თვით საუკუნო!!..

ანგელოსი

როდემდის?

ბელზებელი

სანამ არ მოიშლება
ქვეყანა მისის შვენიერებით,
არ მეავს მეტოქე, მოპირდაპირე,
არც მოხერხებით არც ძლიერებით!

ანგელოსი

კი, მაგრამ ეგ ხომ დროებითია?
„მეორეთ მოსვლის“ არა გაქვს შიში?

ბელზებელი

საუკუნეთა საუკუნოებს
არა აქვთ ზომა და ანგარიში.
„მეორეთ მოსვლა“ ისე შორს არის,
რომ მაზედ ფიქრი არს უგნურება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანგელოსი

რასაც ოდესმე ბოლო მოელის
არ არის სრული ის ნეტარება.

ბედზებული

ბევრჯელ წამიც კი ბედნიერების
საუკუნოზედ უტკბილესია!...
მეც მომავალი ჩემი სიმწარე
აწმეოს სიტკბოში ჩამილესია!!

—

ამას ვჯერდები და მომავალი
მე დამითმია თქვენთვის საკუთრად,—
ჩემთვის შავ-ბუნდათ წარმოსადგენი
და თქვენთვის რადაც ნათელ-ვარდის ფერად

—

თქვენ აწმეოსა სცვლით იმ მომავალში
მე მომავალზე აწმეოს არ ვეიდი!...
ვინ მოსტეუვდება ჩვენში ვინ იცის? .
სულ სხვა-და-სხვა გვაქვს ჩვენ გზა და ხიდი:

—

შენ მარჯვნივ იწვევ ადამის შვილებს
მე იმათ მარცხნით ვეპატიჟები!
არჩევანი კი იმათ ხელმია
და ნუ გასჯიან როგორც გიყვები!..

—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადაც ერჩიოთ იქით წავიდეთ!.
ა, მაგალითი ახლაც თვალ-წინ გვაქვს:
ამ მომაკვდავთან მოვსულვართ ერთად
და ჭირის უფლად ვადგიავართ მას ოავს.

—

შენ სულ სხვას ურჩევ და მე კიდევ სხვას!
არა სჯობს, გკითხოთ მაგისგე სურვილს:
სიცოცხლეს ირჩევს ჩემი შეწევნით?
თუ შენი რჩევით სანატრელ სიკვდილს?

—

სთქვი: რას ბრძანდები?

ანგელოსი

განსასვენებელს
სად არც ურვაა, არც მწუხარება!
და ხორცშესხმულიც ვერ წარმოიდგენს
თუ რა ტკბილია ის ნეტარება!!

—

მახლობლად დგოისა, წმინდათა შორის,
ანგელოსთ გუნდში გამორეული,
ციური ძალით გაიმსჭვალება
ვალ-გადახდილი სპეტაკი სული!

—

ამიერიდან უკუნისამდე
არ მოეშლება ის ნეტარება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინ როდესაც შენი დიდება
ამ ქვეყანასთან ერთად გაქრება.

ბელზებელი

წელანაც გითხარ, უფარსაგოა
ეგ სოტნებო რამ მოგონება:
მაგის სიშორეს ვერ წარმოიდგენს
ჭკუათა-მეოთელის გრძნობა-გონება.

—

და მე მით უფრო... რაც დღეს ხელში მაქვს
განა გიყო ვარ, რომ შეველიო?
ნათქვამი არის: „ხვალინდელ ქათამს,
კვერცხი სჯობია დღევანდელიო.“

ანგელოზი

ჩვენსას თუ სწუნობ, ახლა შენი სთქვი:
რა უფლება გაქვს? რა შეგიძლია,
რომ ამ მიწის შვილს შენ მიანიჭო?

ბელზებელი

რასაც კი მოვთხოვს!.. სულ ადვილია!

ხანგრძლივ სიცოცხლეს და ტანმთელობას
სიბრძნე-სიმდიდრეს და ძალიერებას!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიწყაბუკესაც, რომ სიყვარული
უგვირგვინებდეს ბედნიერებას.

—

და ამას გარდაც, ზედ-მეტად კიდევ
მცირე სურვილი ვალად მედება;
ოჯღის შემძლები, ვიქნები მონა
მაგისი! ნატვრა არ მოაკლდება.

—

ეს რომ სთქვა მერე მე მომიბრუნდა:
„აწ მოიგრიბე შენი ღონეო
და აირჩიე რომელიც გინდა!..
რაცა ვსთქვით შენც ხომ გაიგონეო?“

—

რომ მოვისმინე იმათი ბჭობა,
უჩვეულობით გაკვირვებულმა,
ალარ ვიცოდი რა უნდა მექნა! .
ძგერა დამიწყო ორგზოვად გულმა:

—

ზეცის შელევას ვერა ვბედავდი
და ეს ქვეყანაც მენანებოდა!..
სიტკბო-სიმწარის შუა ვიყავი,
სული შეოთავდა, ხორცი დნებოდა.

—

ბოლოს გავბედე ხმის ამოღება
და დავეკითხე მათ მორიდებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩემგან რას ითხოვთ სამაგიეროს?
იმის სასყიდლად, რასაც მბარდებიო?

—

სთქვა ანგელოსმა: „მხოლოდ იმას გთხოვ,
რომ არ დაჭკარგო შენ სასოება
და ხრწნილებადი შენი სხეულის
არ მოინდომო ამაოება!“

—

ბელზებელმაც სთქვა: „ჩემს არც მე ვითხოვ:
რომ მოვიეხანო, უბრალოდ, გული,
მხოლოდ ოორმისთვის, ზეცის საკიბრად,
მერმისისათვის მომეიდე სული.“

—

ჩამაგდო ამან საგონებელში.
ადარ ვიცოდი, რა ამერჩია?
ორივე კარი ცის და ქვეყნისაც
მზა იყო ჩემთვის... ორივე ღია!..

—

ბირი ვიბრუნე ბელზებელისკენ
და მოვინდომე მისი მინდობა.
თუმცა არ მსურდა არც ანგელოსის
უარის ეთქვა და ზეცის გმობა.

—

შენ ბირობაზე მე მოვაწერ ხელს!
ვსთქვი — თანახმა ვარ და არც ვინაღვლებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბირობით კი, თუ შენც შენს სიტყვას
არ გაღალვევ და შეასრულებ?!

—

— ვფიცავ ჯოჯოხეთს! სთქვა ალტაცებით
და შედიდურად გადიხარხარა!..
შეკრთა მფარველი ანგელოსიცა,
მწუხარე სახე დაბლა დახარა!!.

—

იუდას ტუალეტზე კაენის სისხლით
დაიწერა, მტერმა, ბირობის წერა,
მაკრამ მარტო მის დანაბირებით,
რომ ჩემი გული ვერ შეაჯერა

—

ოსმალად მითხრა: მეტი რაც გინდა
შენგან მოამთხოვე და აგისრულებ!
მე ჩემი სიტყვის გამტეხი არ ვარ!..
არც გავწბილდები! არც გაგაწბილებ!

—

— მართლა? მაშ კარგი! მიუმატე ეს:
რომ აწ სავრთოდ ქართველი ერი,
ამაღლებული.. აჩქარებული..
ხანგრძლივი იყოს და ბედნიერი!

—

—აჭა, ჩავწერგ!. სხვა რამეც კიდევ
ჩამაწერინო გინდა თუ არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

—რასაკვირველია, ერთიც რამ კიდევ
და მეტს არას გთხოვ.. გათავდეს! კმარა!

—

—სთქვი მალე ეგეც და გავათავოდ!
რა სურვილია ეგ კიდევ ერთი?
—რომ საქართველომ ქვესკნელი დაგმოს
მოიახლოვოს ზეცა და ღმერთი,

—

რომ ქართველობამ მტკიცედ დაიბერაოს
ქრისტეს მოძღვრება და წმინდა რჯული,
და მაშინ, დიახ, შერი იქმნება,
სამარადისოდ ეს ჩემი სული!!

—

შეკრთა ეშმაკი ამის გამგონე!
არ მოელოდა ამგვარ ბერობას!..
ფრთა შეეკვეცა იმის წამიერ
ამბარტავნობა-მედიდურობას.

—

გაქვავდა თითქოს, მაგრამ კანკალი
დაუწყო მხოლოდ გულმა და ხელმა.
სთქვა გუნებაში: ვაი სირცხვილო,
რომ მომატეეა ამ იმერელმა:

—

სულ რომ ცოტა ვთქვათ, დღეს ქართველების
მე ორი წილი ხომ კი მერგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ ერთ სულში რომ ის გაგვიდგა
რა ჭეშა არის? და რა მოგება?

—

გასტეხა სიტყვა, გაუჩინარდა,
ჩაძვრა ქვესკნელში სირცხვილეული
და მაშინ მხოლოდ ანგელოსიცა
ცაში ათრინდა გახარებული.

—

მეც გონს მოვედი, მიმოვიხედე
და იმავე წამს თვალი მოვკარი,
რომ მარცხნივ მიდგა დიდი მკურნალი
და მარჯვნით ახლოს ჩემი მოძღვარი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი მ ე დ ი

I

ვინა ხარ, ეჰა, მშვენიერო, მოხვედი სითა?
ხარ ამ ქვეყნისა, თუ ციური მოფრინდი ცითა?
შენი მზერითა აქამომდე ვინ დასტკებებოდა,
ცა, თუ ცის ქვეშე შენით, ტურფავ, გაბრწყინდებოდა?
ვინა გალობდნენ შენს შვებას, ცასა ციერნი,
თუ ფეხთ მოდრეკით, განკვირვებით აქ ქვეყნიერნი?
ხარ ანგელოზი, სამოთხითგან გადმოფრენილი,
ჩვენ სამშობლოთა დასტკებობლად აქ მოფენილი,
ან თუ სატანა ჯოჯოხეთმა მოგგზავნა ხმელად,
მოგცა შვენება, გადმოგაგდო გულთ სავნებელად?
ან ხარ ასული ამ ქვეყნისა, ვით სხვა ასული,
მაგ ლამაზ მკერდ ქვეშ, როგორც სხვათა, შენც გიძგერს
გული?
აბა მაშ გვითხარ: ვით შემკულხარ ეგრედ მდიდრულით
ჭარმოსნიითა, სიტურფითა, შვენებით სრულით?
ვინ ბედნიერმა და სად, როგორ ეგრედ აღგზარდა,
ან გისი თვალი, შენით მთვრალი, მარად გიმზერდა?
აღმოსავლეთის ეფესეფთ შუა თუ გაიშალე,
ან თუ ჩრდილოთ ხარ, წყვდიადს სტუქსე, მოხვედ აქ მალე, —
მოგესალმებით ნათლის გულით შენ მშვენიერსა,
შენც გაუღიმე სიმშვიდითა ძველსა ივერსა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადაც ბუნებამ დიდებულად ზდვასა და ბრთა
შესამკობლად ფრიალოანი წინ ადუმართა;

სადაც მთათ წვერნი ცისა კიდეს ებჯინებიან,
ველნი კი მარად ევავიდებით იმოსებიან;

და მათზე რბიან წალკოტთ შუა წყალნი მცინარნი.
აქ სიეკარულსა სტვენენ მარად ბულბულნი წუნარნი;

რა ფუფუნებით ზამთარ-ზაფხულს ვარდნი შლიდობენ,
დამით ზეფირი, დილით ნამი მაზედ ხარობენ!

აქა ცა არის ლურჯი, წმინდა, მხათი მარად ყამს;
აქა ლავითი და თამარი სულსა კიდევ სწამს;

აქ რუსთველიანსა ლექსნი კვალად ატკბობენ ეურსა;
აქა ისმენენ ბესიკისას მდერას ტიურსა.

აი, სად მოხვედ! და, აქ ეოფა თუ მოგეწონა,
გაგიშლით გულსა ფიანდაზად შენს ფეხთა წინა.

იყავ შვენება, ნეტარება ივერიისა,
იყავ ჩვენთვისა ცით ვარსკვლავი, შუქი მთვარისა!

II

მაგრამ აქ ხშირად ჭეოფებ ტაძართ, შთენთ დიდებულთა,
ბალატო ნანგრევთა და მონასტერთ ალხრებულთა,

მაგარ სადგურნი, ფრიალოთგან გადმოკიდულნი,
უფსკრულს უმზერენ დარდვეულნი, დატეგებულნი;

წმინდა სოფლანი ნანგრევთ შუა ხშირად არიან,
მოუხსენებელთ, უბატრონოთ ტუები ჭბურვიან;

არ აცხოვრებენ შთენთ და სოფლავთ წირვა, ცისკარი,
ხოლოდ დროებით მათზედ ჭბერავს გრიალით ქარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ნიშვნენ შოენნი, ეს ნანგრევნი,—ჟენ გსურს იკითხავ,
გსურს ივერიის შავი ბედი ადმოიკითხო?

ჩვენ ნურას გვკითხავ, ჯვარი არის,—მიდი მის კარსა,
რაც დმობიერმა გულმა გკითხოს,—ჰკითხე მას ჯვარსა.

მირიანის დროს ხელში ეპერა წმიდა ასულსა,
აწ ძველს ტაძარში მასა ჰხოვენ წმიდად დაცულსა.

ესე არს ჩვენი ისტორია და ჩვენი ბედი:
ეკლის გვირგვინი, სასოება და კვლავ იმედი!..

სისხლის ცრემლითა მას ჯვარზედ არს წარწერილი
ჩვენის სამშობლოს ბნელის ეტლის მოახრობა ბნელი!

გსურს სცნო მის აზრი, რაც ცრემლითა მასზედ
სწერია?

აი, ეს აზრი: „წმიდა ჯვარი და ივერია!“

მათთვის მხურვალედ მამა-პაპათ გულნი უძგერდნენ,
მათს დასაცველად მთელს აზიას მწარედ ებრძოდნენ.

„ერთის ხელითა წმიდათ ტაძართ, პალატთ ვაგებდით
და მეორეთი მტერსა ვცემდით, ხმალს არ ვაგებდით:

„ან სულ გავწედეთო და ან მტერთა ვძლიოთ ეგება.“
სამშობლო მიწა ქართველთ სისხლმა სრულად შედება!

მაგრამ კეთილი შენი გული, ვხედავ, ჭმუნვარებს,
მაგ ლამაზ თავლში მარგალიტი ცრემლი ელვარებს!

ხედავ, მაგათგან რადა დაგვრჩა? მათ სამარენი,
და მტერთაგანა შემუსვრილნი მათნი არენი!

ერთი სუნჯეც დაგვრჩენია,—აი ის ჯვარი...
მაგრამ ქართველი მათთვის მოკვდეს, კვლავაც მზა არი!—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ივერი მშვენიერი არს სიხარულის კალო,
გმირთა აკლდამი, გულთ საკლავი და სავალალო!
სუფი მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;
რა მაგონდება, რასაც ლედა ნორჩს მომიოხრობდა,
ის ყამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა...
აჭა, ირაკლი, გმირთა გმირი, კახი ბატარა:
„ურწმუნოთ მამულს არ მივცემო, არა და არა!“

—

იბრძვის მთა-ბარში, წინ და უკან, იბრძვის ზედ
მტკვარზედ,
იბრძვის ოთხკუთხივ, გარედ და შინ, ზედ თავის კარზედ;
ებრძვის ქრისტეს მტერთ, დღე და ღამე არ ხუჭავს
თვალსა;
საფლავს დიდებულს არ ჩაიტანს სამშობლოს ვალსა!
მაგრამ ეგ ღვაწლი, დიდი ღვაწლი, კარგი კმა არი
მტერთა დროშებით მოტეხილია ქალაქის კარი.

—

როგორ ოუ კმაა? მაშ ირაკლი საუკარელს მამულს,
ქრისტეს მცნებითა განათლებულს, ბუნებით შემკულს,
მისცემს ურწმუნოთ უომარად, სიხარულ-დაუღვრელად,
წინ მტერი უდგეს, არ გავიდეს ბრძოლისა ველად?
როგორ? იკისროს—რაც თვით დასცა—სპარსთა მონება
და შერჩეს კიდევ თავალთ სინათლე, თავში გონება?!
ან რალად უნდა ირაკლისა თავი ტოტხალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ქართველთ მეფეს დაერქმევა ეუფლის ვალი!*)

ან თუ ადარ ჭეშვს ირაკლისა ერთგულნი ეშანი,
მამულისათვის სასიკვდილოდ მარადის მზანი?

ან თუ შამქორში, ასპინძაში სრულებით გაწყდნენ,
და მათ გმირთაგან ან მათ ძენი არსად არ დარჩნენ?

არა! თან ახლავს კიდევ გმირსა სამი ათასი;
სამი ათასი ქართველთ დასი არს დიდი დასი.

ძველნი თავადნი, აზნაურნი მას თან ახლავან,
მწარე ომებში დახვრეტილნი ჩვენ არა გვგვანან!

ქალაქის კარი მაგრად მათგან არს დაკერილი;
„აქ სულ გავწყდეთო!“ სათლად გულში აქვთ დაწერილი —

კრწანისის ბოლოს გურამისძე ზარბაზნებს მართავს,
ან მტერს სულ გასწყვეტს, ან მტრის ხელით მოიკლავს ზედ თავს.

მოხუცი მეფე მკვირცხლის თვალით დდეს მტრის ურდოს ზომს,
ხვალ გაუმართავს მტერს ჩვენებურს, მამა-პაპურს ომს.

მაგრამ უეცრად რა ძმა-ეშათა თვალთა მიაქცევს,
თვალთაგან ცრემლთ ცხართა უნებურთა მიწაზედ აქცევს.

გენანის ძმანი, შენნი ეშანი? მკვდარნი ნუ ხარ;
წინ გაქვს სხვა ვალი, იშრე თვალი, ჩვენთვის ნუ სწუხარ!

აგერ მზე ჩადის და აბრწყინებს მეტეხზე ჯვარსა,
მის მადლი ძლევს, გამარჯვებას მისცემს შენს ჯარსა,

აჭა, თენდება ის დიდი დღე, ძნელი საამბოდ...

---

*) ვალი არის გამგებელი რომლისამე პროვინციისა სპარსეთსა და ოსმალეთში, როგორც გენერალ-გუბერნატორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველნო, ეური ვამიგდევით, უნდა გაამოთ:
სამი ათასი სამოც ათასს წინ დაუხვდება...
დღეს ჩვენი მტკვარი სისხლის ფერად შეიღებება!
ამა შეხედეთ ჩვენს ქართველთა ბატარა დასსა,
როგორ იდგაიან და ებრძვიან სამოც ათასსა!
მაგრამ რა გითხრათ, რა გიამბოთ? ჩვენს ულონო სულს,
ჩვენს გაეინულსა, გაქვავებულს და უგრძნობელს გულს
მწარე მოთხრობა წარსულ დროთა არ აცხოველებს,
გმირთ მამა-ბაბათ ბნელი ეტლი არ მოგვგვრის ცრემლებს!
ჩვენ არც კი ვიცით, იმ უბედურთ რაც დაგვდეს ვალი,
ჩვენსა გარეშე ვერას ვხედავთ: ბნელი გვაქვს თვალი...
ოდონდ მამათგან დაშთომილი მამული ვსჯამოთ,
და ჩვენთ მოვაესთა, ჩვენთ ნათესავთ — ძმათ ცილი ვსწამოთ:
ოდონდ კი ჩვენთვის მზე ნათობდეს და ცაში ნუ ჭქუხს,
რა გვენადგდება, რაც რომ მოხდა მაშინ სოდალუხს!..
თუ ნათლად გვქონდეს გულის გრძნობა და ნათლად ბირნი,
ბევრს მოგვითხრობდნენ არაგვისა და მტკვრის ნაბირნი.

IV

არაგვისა და მტკვრის კიდენო, სამშობლო კიდევ,
თუ ვანს გცემ დილით და მზის ჩასვლით თავვანს გცემ კიდევ.
დიდი მოთხრობა თქვენზედ არის სისხლით ჩართული,
მაგრამ შენთ შვილთა სხვით რითმე გვაქვს თვალი გართული.
თვალ წინ გადგეშული მშვენებათა უხვთა, მდიდართა,
გვიხარის ჩქეფა და კამკამი შენთ წყალთ მტირართა,
უხვად ვიენოსებთ ჰაერს წმინდას, სუნნელოვანსა,
სიხარულითა შეემზერთ შენს ცას ლაჟვარდოვანსა.
ის კი არ ვიცით და არ გვესმის, მისთვის არ ვზრუნავთ,
რა ისტორიის ფურცელ-მიწას ფეხითა ვთრგუნავთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ადარ ვფიქრობთ, იმ გმირს მაშინ რა ბედნიერ სწვავდა
სამშობლო ქვეყნის ადგილება თუ ადარ სწამდა...

. . . . . .

გმირო, სცან ტკბილი განსვენება შენ მხოლოდ იმ ჟამს,
რომ ქართველნი დაატირდნენ თელავში შენს გვამს...
გრძელი სიცოცხლე ირაკლისა არს ბრძოლა გრძელი,
მოსათხრობელად, საამბობლად, სათქმელად ძნელი.

და დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შვრებოდით,
როცა ქრისტესთვის თქვენ თავდ წინა, თქვენს კარს ვსწუდებოდით?
თქვენ ირაკლისა დიმილითა თავსა უკრავდით,
რჩევას აძლევდით და ქებისა ტაშსა უკრავდით!
თავიანთ საქმეც ბევრი ჰქონდათ თქვენს მამა-პაპათ:
უამბორებდნენ ზოგნი რომში თვისთ წმინდათ ხატთ;
ზოგნი თეატთ მთავართ ადსრულებდნენ მონებით ნებას
და მათს სასახლეთ კეკლუცთ დიცთ უძღვნიდნენ ქებას!
და შვიეცარიასაც კი ხშირად გაზისთ შავი ბეწედი,
არ დაიდუმების ისტორია, ნუ გაქვსთ იმედი!
მართლმადიდებელთ წმინდა სისხლი კისერს გედებათ,
მაგრამ მოგვკითხვენ, მაგიერი რასმე გეგებათ!..
გონება ხელობს, განშმაგებულს აზრი მერევა.
სარწმუნოებას გულის ჭმუნვის ძალა ერევა.
მაშინ, მოვკვსნო, მზა ვარ გეკითხოთ, მითხარით ერთი:
ნუ თუ მართლა გწამთ, რომ არსებულ და იეოს დმერთი?
თუ დაბადება სამყაროსი იეო მის ნება,
და თუ ეს აზრი არ არს შტერთა და ცრუ ზმანება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მართლა მნათობთ, ცას და ზღვათ, მთათა და
თავის შუქითა, სიუხვითა ის აცხოველებს;

თუ მან დაგვბადა, მან გვცა გრძნობა, ჭკუა და ენა,
თუ მან ეს ტკბილი, ეს მდელობა ადმოაცენა;

თუ თვის ქმნილებას სასიკეთო და კანონი მისცა,
და სული სიმრთელ და ცხოველი შთაბერა და სცა;

თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების,
თუ ნათელი არს და ნათელი ჭეშმარიტების, —

მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?!
შენ არ მოგსვლია გულს ეს გმობა, ბატარა კახო,

რომ გადაავლე შენს ქალაქსა ავლაბრით თვალი
და დაინახე, ოთხის კუთხით ავარდა ალი?!

—

რად მიმაქციე ტურფა სახე, ტურფა ასულო?
ეწეინა ჩემგან დვთისა გმობა, იგრძენი სულო!

VI

მაგრამ რას ვრჩებავ უბედური და რასა ვებედავ!
მე შემოქმედის განკიცხვასა როგორა ვბედავ?

ვარ მამაკვდავი, ქმნილი მიწით, მსხვერპლი მიწისა.
შთამომავალი ადამისა, თესლი ბიწისა;

სიკვდილი მელის და სიკვდილსა ვერ გავექცევი,
საფლავს მკვდარიც-და არ დავრჩები, მიწად ვიქცევი,

ვბედავ კი მიგწვდე მოკლე ჭკუით მაღალ დვთაებას,
მსურს უბედურსა, გზა ვუჩვენო ციურსა ნებას;

ვბედავ ვიძიო ზენა სიბრძნე მე სუსტის ძალით,
ვბედავ განვსჯვრიტო დვთის განგება მე ბნელის თვალით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დმერთო კეთილო! მომიტევე შენს დავიწყებულს
ნუ მკითხავ გმობას გაშმაგებულს, გულგაცვალებულს.
რა ვქნა ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი მედება,
რა საქართველო დანგრეული მოშელანდება;
რა ფიქრს მომივა: თვით ნანგრევნიც იქნება განჭრნენ
და მათ სახელნი, მათ ხსენებაც ადარსად დარჩნენ...

VII

მომიახლოვდა მაშინ ტურფა, მშვიდი ასული,
გრძნობითა სახე უბრწყინავდა, უძგერდა გული:
„გწამდესო, დვაწლნი მამა-ბაბათ არ განჭრებიან
გწამდეს, ეს შოენნი დიდებულად კვლავ ადსდგებიან:
მართლმადიდებელთ ჯუშარიტი, დმერთი ძლიერი
მოგფენთ თვისს სხივსა, თვისს სიუხვეს, და თქვენი ერი,
ქრისტეს ჯვარისთვის წამებული, კვლავ გამრავლდება,
თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ ადეკვადება;
ამიერ თქვენთან დავამყარე წმინდა კავშირი,
ამიერ თქვენთან მე ვიქნები სტუმარი ხშირი!...

. . . . . .

VIII

დავემხე წმიდა, მშვენიერის ასულის წინა,
ვუამბორებდი მის ფერხთ მტვერსა: — ტურფავ! სარ ვინა?
თუმცა ბასუხი მშვენიერმა არარა მომცა,
მაგრამ ნათელი და სიცოცხლე მოკლულს გულსა სცა!...

ვ. ორბელიანი.

8,10 ₾

Национальная академия наук Беларуси